პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი 16 აგვისტო 1937 წ. № 186 (4987)

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ:

— ᲦᲠᲛᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ (ᲬᲝᲚᲘᲜᲐᲕᲔ)
— ᲛᲝᲡᲙᲝᲕ - ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ
— ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ „ნ-209“-ᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ
— Ა. ᲕᲘᲨᲘᲜᲡᲙᲘ — ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ (ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ)
— ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲙᲘᲝᲛᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ:
— ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ
— ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲛᲔᲑᲛᲐ ᲑᲐᲐᲙᲪᲘᲔᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ
— ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ
— ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ
— ᲐᲛᲰ. ᲒᲠᲝᲛᲝᲛᲝᲕᲘ, ᲘᲣᲛᲐᲨᲔᲕᲘᲩ, ᲓᲐᲜᲘᲚᲘᲜᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ
— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ“

ᲦᲠᲛᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

მეორე თვეა, რაც სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესიამ განიხილა და დაამტკიცა დიადი სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად გამომუშავებული, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი უღრმესი სიხარულით და აღფრთოვანებით შეეგება ამ დიდი იატორიული მნიშვნელობის დოკუმენტის გამოქვეყნებას. თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მასები ენტუზიაზმით ჩაებნენ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლაში. მის შესასწავლად ჩვენს წარმოებებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მოეწყო ასიათასობით წრეები.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლამ სოციალისტური შრომის ახალი ენტუზიაზმი გამოიწვია. „დებულების“ შესწავლის დაწყებისას კასპის ცემენტის ქარხნის სტახანოველმა მუშამ გოლუშვილმა იკისრა ვალდებულება იბრძოლოს საწარმოო დაკვლების 200 პროცენტით შესრულებისათვის.—ჩვენ, სტახანოველები,—განაცხადა მან,—ყველაფერს გავაკეთებთ მავნებლობის შედეგების სწორი ლიკვიდაციისათვის ჩვენს ქარხანაში. ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველებმა ზ. მილდინმა, სარქისიანმა, კოჭლაძემ, ვასილიევმა და სხვებმა ახალი საარჩევნო კანონის მიღებასთან დაკავშირებით იკისრეს ახალი ვალდებულებანი. მათ განაცხადეს, რომ თავიანთ საწარმოო ნორმებს შეასრულებენ 160—200 პროცენტით.

ახალ საარჩევნო კანონს დიდ აღფრთოვანებით შეხვდნენ კოლმეურნეები. ისინი მას გულდასმით სწავლობენ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (ქუთაისის რაიონი) გამართულ კრებაზე სტახანოველმა კოლმეურნემ მესხმა განაცხადა:—„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება ბრწყინვალე ასახვაა მშრომელთა იმ უფლებისა, რომელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სტალინურ კონსტიტუციაში. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მომზადებული შევხვდეთ უზენაესი საბჭოს არჩევნებს“. ამავე კოლმეურნეობაში შესდგა ქალთა ჯგუფი „დებულების“ შესასწავლად. რამდენიმე წერაკითხვის მცოდნე კოლმეურნე ქალმა გადასწყვიტა კარგად შეისწავლონ წერა კითხვა, რომ უზენაეს საბჭოს არჩევნების დაწყებისათვის შესძლონ „დებულების“ დამოუკიდებლად წაკითხვა. ეს მხოლოდ მკერავ ანარეკლია იმ მოზღვავებული ენტუზიაზმისა, რომელიც სსრ კავშირის და კერძოდ საქართველოს მშრომელებში უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების განხილვა-შესწავლამ გამოიწვია.

მიუხედავად ასეთი უღრმესი აღფრთოვანებისა და მასების გააქტიურებისა, არიან ისეთი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რომელნიც დროზე ვერ ჩაუდგნენ სათავეში ამ დიად სახალხო მოძრაობას.

მაგალითად, ხევის, ერკეთისა და ჩოხატაურის სასოფლო საბჭოებს (ჩოხატაურის რაიონი) უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა 28 ივლისამდე არ ჰქონდათ დაწყებული. მათ დაივიწყეს ფართო მასები, დაკმაყოფილდნენ იმით, რომ „დებულების“ შესწავლა პარტიული ხაზით მიმდინარეობდა. მათ დაუდევრობას ადასტურებს ის, რომ არცერთ ზემოხენებულ სასოფლო საბჭოში „დებულება“ არ აღმოჩნდა.

ბაღდათის რაიაღმასკომი დაკმაყოფილდა უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების პრეზიდიუმზე გახხილვით. მან თუმცა ადგილებზე მიიმაგრა პასუხისმგებელი მუშაკები, მაგრამ მათი მუშაობა არ შეუთანხმებია, რის შედეგადაც სოფ. საბჭოებსა და კოლმეურნეობებში ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა. საქმე უკეთესად არც ტყიბულის რაიონშია.

სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარის, ამჟამად მხილებულ ხალხის მტრის ალავერდაშვილის მავნებლური მუშაობის შედეგად ჩაშლილი იყო საბჭოების მუშაობა. ამ არამზადას 11 თვის განმავლობაში ერთხელაც არ მოუწვევია რაიონის საბჭოს პლენუმი, სტალინური კონსტიტუცია და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება არ განუხილავს არც რაისაბჭოს პლენუმზე და არც პრეზიდიუმის სხდომაზე. არბოშიკის, ტიბაანის და ანაგის სასოფლო საბჭოებს (სიღნაღის რაიონი) არ განუხილავთ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. საარჩევნო დებულება არ განუხილავთ ბორჯომის რაიონის ახალდაბის, წაღვერისა და ბაკურიანის სასოფლო საბჭოებშიც.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების განხილვას ძლიერ ცუდად ეხმაურება რაიონული პრესა. მაგალითად, არაფერი არ დაუწერიათ და მხოლოდ დებულების გამოქვეყნებით დაკმაყოფილდნენ ქობულეთის, გორის და ამბროლაურის რაიგაზეთები. სჩანს, ამ გაზეთების რედაქტორებს „მხედველობიდან გამორჩათ“ ეს უდიდესი პოლიტიკური ამოცანა — უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების განხილვა-შესწავლა.

უზენაესი საბჭოს არჩევნები პარტიული და საბჭოთა ორგანოების უდიდესი პოლიტიკური გამოცდაა, იგი მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების მობილიზაციას—არჩევნებისათვის მთელი მშრომელი მოსახლეობის წარმატებით მოსამზადებლად.

„ჩვენ შევედით სახელმწიფოებრივი წყობილების ახალ ეტაპში, აღლებურად არჩევა უკვე აღარ არის შორეული პერსპექტივა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არჩევნებისათვის მზადებას, და უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის მიერ ახალი საარჩევნო კანონისა და თავის უფლება - მოვალეობათა ცოდნას. საარჩევნო კანონის დამტკიცების შემდეგ, შემდგომი ეტაპია არჩევნები. ეს რა უნდა იყოს ეხლა ყველა ჩვენი მუშაკის ყურადღების ცენტრში, ეს რა განსაზღვრავს ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის მუშაობის მიმდინარეობას“. („პრავდა“).

უნდა გვახსოვდეს, რომ კლასობრივ მტრებს არ სძინავთ. ისინი ყოველ ნაკლს საბჭოების არჩევნების მომზადების საქმეში გამოიყენებენ თავიანთი შავი ზრახვებისათვის. უნდა გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე ხალხის მტრების — ტროცკისტ - ზინოვიეველ - ბუხარინელთა ნამსხვრევების გასახადგურებლად, მავნებლობის შედეგების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისათვის.

არ უნდა დარჩეს არცერთი საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც მთლიანად არ ეცოდინება თავისი უფლება-მოვალეობანი არჩევნების დროს — ასეთია ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაუდებელი ამოცანა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ

(საქ. დეპეშათა სააგენტოს ცნობებით)

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

მდინარე ტახოს სამხრეთით მდებარე რაიონში მეამბოხეებმა იერიში ძიიტანეს მდინარე ალგოდორის მახლობლად, მაგრამ უკუქცეული იყვნენ რესპუბლიკელთა კონტრიერიმით. მეამბოხეები ყუმბარებს უშენდნენ რესპუბლიკელთა პოზიციებს ტოლედოს ახლოს. რესპუბლიკელთა არტილერიამ სროლა აუტეხა მეამბოხეთა მატარებლებსა და სატვირთო მანქანებს და გააძნელა მათი მიმოსვლა ზურგში.

ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

ტერუელის რაიონში, ბესასის უბანზე, მეამბოხეებმა სროლა აუტეხეს რესპუბლიკელთა პოზიციებს. რესპუბლიკელთა ჯარებმა განაბრიალეს რესპუბლიკელთა პოზიციებს დაახლოვებით ერთი კილომეტრის მანძილზე სოფელ პანკრუდოდან.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

სანტანდერის უბანზე მეამბოხეებმა სროლა აუტეხეს რესპუბლიკელთა პოზიციებს. რესპუბლიკელთა ბატარიები ესროდნენ მეამბოხეთა ჯარების შეჯგუფებას ბარუელოს მახლობლად.

ასტურიის უბანზე რესპუბლიკელთა არტილერია, რომელსაც ეხმაროდა ავიაცია, გაძლიერებით უშენდა ყუმბარებს გრადოს და მის მიდამოებს. მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ესპანის სააგენტო ხიხონიდან იუწყება, რომ გრადოდან ჩამავალმა რესპუბლიკურმა ხუთმა ავიაგამანადგურებელმა და ყუმბარმტყორცნმა, იერიში მიიტანა მეამბოხეთა ჯარების შეჯგუფებაზე. სროლა აუტეხა მათ ტყვიამფრქვევებით და ჩამოაგდო 30 ყუმბარა. მეამბოხეთა ჯარები ტყვიამფრქვევის გაძლიერებული ცეცხლის გამო უკუიქცნენ და დასტოვეს გზაზე მოკლულნი და დაჭრილნი. რესპუბლიკელებმა ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე მტრის სატვირთო მანქანების კოლონას; რამდენიმე სატვირთო მანქანა განადგურებულია.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲛᲔᲑᲛᲐ ᲑᲐᲐᲙᲪᲘᲔᲡ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲜᲘ

პარიზი, 15 აგვისტო (საქდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ სანტანდერიდან გავიდა ინგლისის 4 გემი. ორ მათგანს ლტოლვილები მიჰყავს საფრანგეთში.

იგივე სააგენტო ხიხონიდან იუწყება, რომ 12 აგვისტოს დილით რესპუბლიკელთა ფლოტის რამდენიმე გემი გავიდა ნავსადგურიდან. ისინი შეხვდნენ მეამბოხეთა გემების ჯგუფს, რომლებსაც ბლოკადა აქვთ გამოცხადებული ნავსადგურისათვის. მათ შორის გაიმართა ბრძოლა.

ᲛᲝᲚᲔᲓᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ

ლონდონი, 14 აგვისტო (საქდესი). ვალენსიიდან მიღებული ცნობით, მეამბოხეთა ბანაკში უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად იზრდება დეზერტირობა. ყოველ ფრონტზე მეამბოხეთა ოფიცრები და ჯარისკაცები გადადიან მთავრობის ჯარების მხარეზე. მრავალი დეზერტირი ადასტურებს ცნობებს აჯანყებებისა და დახვრეტების შესახებ. ისინი აცხადებენ, ამჟამად მეამბოხეთა ტერიტორიაზე ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახდაო.

უკმაყოფილება იზრდება მაროკელებს შორის, რომლებმაც დიდი ზარალი ნახეს უკანასკნელ ბრძოლებში.

ᲐᲚᲕᲐᲠᲔᲡ ᲓᲔᲚ ᲕᲐᲘᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ვალენსია, 14 აგვისტო (საქდესი). მიტინგზე, რომელიც მოიწვია გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის ფედერაციამ ვალენსიაში (და არა მადრიდში, როგორც წინათ იყო გადმოცემული), გამოვიდა ალვარეს დელ ვაიო. მიტინგს დაესწრო ოვრეთვე დოლორეს იბარური, რომელსაც მჭუხარე ოვაციით შეეგებნენ.

ალვარეს დელ ვაიოს სიტყვა მიძღვნილი იყო ესპანეთის პროლეტარიატის ერთიანი პარტიის შექმნის საკითხისადმი.

— სოციალისტური პარტიის რიგითს წევრებს,—სთქვა მან,—ერთსულოვნად სურთ ერთიანობა და ამიტომ სოციალისტური პარტიის ვერცერთი ხელმძღვანელი ვერ გაბედავს ამჟამად აშკარად გამოვიდეს სოციალისტური და კომუნისტური პარტიების შეერთების წინააღმდეგ.

მხოლოდ პროლეტარიატის ერთიან პარტიას,—ხაზი გაუსვა ორატორმა,—შეუძლიან უზრუნველჰყოს ნამდვილი წინსვლა. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების შეერთებას შეუძლია გაადვილოს ომის პრობლემათა გადაწყვეტა. მაშასადამე, ერთიანი პარტიის შექმნის საკითხი ოვრეთვე ასევე ეხება ესპანეთის ინტერნაციონალის ბედს.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲛᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲙᲘᲝᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ - ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ „ნ-209“-ᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 აგვისტო (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სამი თვითმფრინავი გაფრინდა ფერბენჭსიდან საბჭოთა მფრინავების საძებრად თვით ალიასკაზე. ერთი თვითმფრინავი „ლოკ ჰიდ ელექტრა“ დაფრაზტული იყო ახ. ბელიაკოვის მიერ. თვითმფრინავს პილოტობდა ჯო კროსხი. თვითმფრინავზე იმყოფებოდა აგრეთვე „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი ამხ. ხვატი. ამ თვითმფრინავმა მოაწყო გაფრენა ჩრდილოეთში კუნძულ ფლექმენდე და დაბრუნდა უკან ფერბენჭსში თვითმფრინავ „ნ-209“-ის აღმოუჩენლად.

მეორე თვითმფრინავი „ფეირჩაილდი“ (პილოტი რობინსი და მეორე პილოტი არმისტედი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩელუსკინელთა გადარჩენაში) აწარმოებდა ძებნას ჩრდილო დასავლეთით. თვითმფრინავმა დაჰფარა 400 კილომეტრის ჰანძილი, რის შემდეგაც დაბრუნდა ფერბენჭსში.

მესამე თვითმფრინავი „ფეირჩაილდი“ (პილოტი მერეი სტიუარტი) გაფრინდა ჩრდილო აღმოსავლეთით და უშედეგო ძებნის შემდეგ დაბრუნდა ფერბენჭსში. თვითმფრინავზე იმყოფებოდა აგრეთვე ამხ. სმირნოვი.

„ნ-209“-ის ეკიპაჟის ძებნაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოსთქვა აგრეთვე ცნობილმა მფრინავმა მატერნმა.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕ „ნ-209“-ᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პარიზი, 15 აგვისტო (საქდესი). საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს თვითმფრინავ „ნ-209“-ის ეკიპაჟის მდგომარეობას. გაზეთები დაწვრილებით იუწყებიან იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ მიიღო ეკიპაჟის საძებნელად.

საფრანგეთის გაზეთები, აღნიშნავენ რა, რომ ამერიკელი მფრინავი მატერნი მიიღებს მონაწილეობას ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავის ძებნაში, მიუთითებენ, რომ 1933 წელს არქტიკის ავარიის შემდეგ მატერნი ძნელი მდგომარეობიდან ამხ. ლევანევსკიმ იხსნა.

ᲐᲛᲰ. ᲒᲠᲝᲛᲝᲕᲘ, ᲘᲣᲛᲐᲨᲔᲕᲘᲩ, ᲓᲐᲜᲘᲚᲘᲜᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲒᲛᲘᲠ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 14 აგვისტო (საქდესი). გუშინ სსრ კავშირის ლონდონის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოეწყო დარბაზობა გმირ მფრინავების ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის პატივსაცემად. პრესის ყველა წარმომადგენელნი, რომლებიც დარბაზობას დაესწრნენ, ერთსულოვნად გამოსთქვამდნენ აღტაცებას საბჭოთა მფრინავების მიმართ, რომელთა თავმდაბლობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გრომოვმა, უპასუხებდა რა პრესის წარმომადგენლების კითხვებს, განაცხადა, რომ თვითმფრინავი „ანტ-25“—საბჭოთა წარმოებისა და საბჭოთა კონსტრუქციისაა. დარბაზობაზე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ანტიმყინველისადმი, ვინაიდან თვითმფრინავის შემოყინვა წარმოადგენს მრავალი საბედისწერო საჰაერო კატასტროფის მიზეზს ინგლისში.

გრომოვმა განაცხადა, რომ ანტიმყინველი თვითმფრინავ „ანტ-25“-ზე კარგად მუშაობდა, იგი არ უშვებდა შემოყინვას.

პასუხად კითხვებზე, აქვს თუ არა, გრომოვის აზრით, ტრანსპოლარული საჰაერო გზის განვითარებას საბჭედრო მნიშვნელობა, ამხ. გრომოვმა განაცხადა, რომ მაკრატელი ჩვეულებრივ უბრალო მშვიდობიან საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც იარაღი. ხვალ ამხანაგები გრომოვი, იუმაშევი და დანილინი ლონდონიდან ბრუნდებიან პარიზში.

დღეს ყველა გაზეთი ათავსებს ამხ. გრომოვის განცხადებას, რომელიც მან გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲝᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ, 15 აგვისტო (საქდესი). გაზეთ „დაგუნბაოს“ საგანგებო გამოცემაში გუშინ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა, რომელიც გამოშვებულია 14 აგვისტოს შუადღისას ჩინეთის სარდლობის წარმომადგენლის მიერ:

1) მტრის ხაზები შანხაის უნივერსიტეტის მახლობლად, ჩუნკონ-როტის მახლობლად, სუიტიან-როდზე, დღეს დილის 5 საათზე გაანადგურეს ჩვენმა ჯარებმა. იაპონელთა რაზმი ციძის უნივერსიტეტში 300 კაცის როდენობით განადგურებულია.

2) ლიუხეს სექტორში, სადაც ჩვენი დაცვითი ხაზები მიუვალია, ბრძოლები არ ყოფილა. ლიკვიდირებული იქნება მტრის ყოველგვარი ცდა მოახდინოს გადმოსხმა ამ სექტორში.

3) ჩვენი ჯარების მორალური მდგომარეობა ფრიად მაღალია, ჯარებმა გადასწყვიტეს ბოლომდე განაგრძონ დღევანდელი გამარჯვებანი.

4) ჩვენი საჰაერო ძალების მობილიზაციამ ფრიად ხელსაყრელი ეფექტი მოგვცა. დილის 10 საათზე 6 ჩვენი ყუმბარმტყორცნი გამოჩნდა მდინარე ვანპუზე და ჩამოაგდო სამი ყუმბარა მტრის მე-3 ფლოტილიის საფლაგმანო გემ „იძუმზე“. ნანკინ-შანხაის რკინიგზის ადმინისტრაციის შენობა დღეს დილით 8 საათსა და 45 წუთსა და 10 საათსა და 20 წუთს შუა დაზიანებულია მტრის ოთხი ყუმბარით, რომლებიც შენობას მოხვდა.

განცდილი მარცხის შემდეგ მტერი ამჟამად ამცარებს თავის ხაზებს, თავს უყრის რა მათ ნავმისადგომზე და მდინარე ვანპუს ნაპირებზე, იანძეპუ-როდის ქეჩის ბოლოში. იაპონიის დესანტის მთავარი ბინა ძანვან-როდზე ევაკუირებულია, იაპონელთა კანტორები და ყაზარმები მთავარი ბინის მახლობლად ვანკეროდზე დანგრეულია ჩვენი ყუმბარებით. იაპონელებმა ფართო სამხედრო მოქმედების მომენტიდან დიდი ზარალი ნახეს. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ, 15 აგვისტო (საქდესი). ყველა ჩინური გაზეთი იუწყება, რომ 13 აგვისტოს საღამოს 5 საათზე იაპონელთა 11 თვითმფრინავი, რომლებიც გამოფრინდნენ კუნძულ ფორმოზიდან, თავს დაესხნენ ჩინეთის აეროდრომს ხანჯოუში (ჯეძიანის პროვინცია). ჩინეთის თვითმფრინავებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს საჰაერო იერიშზე. საჰაერო ბრძოლის შედეგად ჩამოაგდეს იაპონიის სამი თვითმფრინავი. ერთი მათგანი ჩამოვარდა ჩაშანში, მეორე — სიაოსანში (ხანჯოუს სამხრეთ-აღმოსავლეთით) და მესამე — ძიანტან ძიანის მახლობლად. იაპონელთა ორი მფრინავი ტყვედ არის წაყვანილი. იაპონელთა დანარჩენმა 8 თვითმფრინავმა მოაწყო თავდასხმა გუანდეზე (ანხუეის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში). საჰაერო ბრძოლის შემდეგ ჩინეთის თვითმფრინავებთან იაპონიის 5 თვითმფრინავი ხაწილობრივ დაზიანდა და შემდეგ მოახდინა იძულებითი ძირსდაშვება ანჰეში (ანხუეისა და ჯეძიანის პროვინციათა საზღვარზე). ფორმოზაზე ვენჯოუზე გავლით დაბრუნდა შხოლოდ იაპონელთა 3 თვითმფრინავი.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ, 15 აგვისტო (საქდესი). ტაიფუნის მიუხედავად, ბრძოლა შანხაიში 14 აგვისტოს ღამით გრძელდებოდა დილის 4 საათამდე. დაახლოვებით დილის 9 საათზე ინტენსიერის სროლა განახლდა.

დღეს, 13 საათზე, განახლდა საჰაერო და საარტილერიო ბრძოლა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ—ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 15 აგვისტო (საქდესი). მოსკოვ-ჩრდილო-ამერიკის გადაფრენათა მომწყობი მთავრობის კომისია იუწყება, რომ 15 აგვისტოს განმავლობაში, მიუხედავად გულმოდგინე დაკვირვებისა, არ მოხერხდა კავშირის დამყარება თვითმფრინავ „ნ-209“-ის რადიოსადგურთან. სსრ კავშირის და ალიასკის ცალკეულ სადგურებს ხანდახან გაურკვევლად ესმოდათ მუშაობა თვითმფრინავის ტალღაზე, მაგრამ არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ სწორედ მისი რაცია მუშაობდა.

მუშაობა დახმარების აღმოსაჩენად, რის შესახებაც გუშინ იყო ცნობა, გრძელდება. ყინულმჭრელი „კრასინი“ ჩავიდა შმიდტის კონცხზე, სადაც აწყობს ფიცარნაგს თვითმფრინავთა დასატვირთად. პოლუსიდან მოსკოვს დაბრუნებული თვითმფრინავები „ნ-170“, „ნ-171“ და „ნ-172“ გადაფრინდნენ გორბუნოვის სახელობის ქარხანაში, სადაც დაუყოვნებლივ შეუდგნენ თვითმფრინავთა შემოწმებას და მათ მომზადებას გასაფრენად. ქარხნის მუშებმა განსაკუთრებული ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი ამ მუშაობას, მაგრამ ოთხმოტორიანი თვითმფრინავის მომზადებას მაინც დასჭირდება რამდენიმე დღე.

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ „ნ-209“-ᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 აგვისტო (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სამი თვითმფრინავი გაფრინდა ფერბენჭსიდან საბჭოთა მფრინავების საძებრად თვით ალიასკაზე. ერთი თვითმფრინავი „ლოკ ჰიდ ელექტრა“ დაფრაზტული იყო ახ. ბელიაკოვის მიერ. თვითმფრინავს პილოტობდა ჯო კროსხი. თვითმფრინავზე იმყოფებოდა აგრეთვე „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი ამხ. ხვატი. ამ თვითმფრინავმა მოაწყო გაფრენა ჩრდილოეთში კუნძულ ფლექმენდე და დაბრუნდა უკან ფერბენჭსში თვითმფრინავ „ნ-209“-ის აღმოუჩენლად.

მეორე თვითმფრინავი „ფეირჩაილდი“ (პილოტი რობინსი და მეორე

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 13 აგვისტო (საქდესი). ბიულეტენი „ფორეინ პოლისი ასოშიეიშენი“, უკეთებს რა კომენტარიას საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო შეთანხმებას, სწერს:

„ახალი ხელშეკრულება, რომელსაც თან ახლავს ისეთი ამბები, როგორიცაა საბჭოთა ტრანსპოლარული ფრენა ამერიკის მეზღვაურთა მეგობრული მიღება ვლადივოსტოკში, ალბათ, მოწმობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის თანდათანობითს გაუმჯობესებას“.

ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲛᲧᲝᲑᲐ

ᲛᲘᲬᲘᲡᲐᲮᲐᲚᲝᲒᲘᲡ 10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ

რაიონები	მწნობის ბაზმა ათას ცალობით	ბაზმის შესრულება ათას ლიტრობით	შესრულების პროცენტი
ჩოხატაური	50	20	40
ლანჩხუთი	1650	652,5	39,5
წალენჯიხა	150	68	45,3
ცხაკაია	900	293,7	32,6
ფოთი	600	182,3	30,3
მახარაძე	2705	617,3	22,3
ზუგდიდი	1600	162,4	10,1
სამტრედია	50	5	10
აჭარის ასსრ	5795	2481	42,8
აფხაზეთის ასსრ	6500	398,4	6,1
სულ	20,000	4,880,6	24,4

○

მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, რომ აფხაზეთი სამარცხვინოდ ჩამორჩა ციტრუსების მწნობაში — მან აგვისტოს პირველ დეკადაში მხოლოდ 251,7 ათასი ძირი ტრიფოლიატი დაამყნო და 2,3 პროცენტიდან გეგმის შესრულება 6,1 პროცენტამდე აიყვანა. თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა აქ მუშაობა, ცხადია, 6.500,000 ძირი ნერგის მ

იაპონიის ავანგურა ჩინეთში

საომარ მოქმედებათა გამო შანხაის ცხოვრება მოდუნებულია

შანხაი, 14 აგვისტო (საქდესი). საომარი მოქმედების გამო გუშინ შანხაის ცხოვრება მოდუნებული იყო. ნაწილობრივ სროლა იაპონიისა და ჩინეთის ნაწილებს შორის გუშინ ღამით კვლავ სწარმოებდა.

6 იაპონელმა მეზღვაურმა ავტომობილიდან სროლა აუტეხა ჩინელ გუშაგებს ჩაპეის საზღვარზე (შანხაის რაიონი). დილის დაახლოებით 8 საათზე შეიარაღებულ იაპონელ რეზიდენტთა ჯგუფმა სროლა აუტეხა ჩინეთის გუშაგებს ჩრდილოეთის ვაგზლის რაიონში. 9 საათსა და 13 წუთზე იაპონელ მეზღვაურთა რაზმმა დაიწყო შეტევა ჩინელთა პოზიციებზე; ეს რაზმი ცდილობდა ჩინეთის ჯარები უკან დაეწია გზის ხაზისაკენ, დაწყებული ჩრდილოეთის ვაგზლიდან ბანბანჩანის ყაზარმებამდე. ჩინეთის მოწინავე ნაწილებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამის შედეგად იაპონელებმა დაიხიეს ხონკიუში (შანხაის რაიონი). ქუჩაში ბრძოლა ნახევარ საათს გრძელდებოდა. მოკლულია 5 იაპონელი და დაჭრილია 10 კაცზე მეტი. დაჭრა ერთი ჩინელი ჯარისკაცი და გამვლელი. შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა იაპონიის საძი ჯავშნოსანი. ორივე მხარემ აამოქმედა ტყვიამფრქვევი. დაახლოებით 12 საათზე ხონკიუს რამდენიმე ქუჩაზე იაპონელ მეზღვაურებს თოფებს ესროდნენ ჩინელი სნაიპერები ცარიელი შენობებიდან და სახლების სახურავებიდან. რამდენიმე პატარა შეტაკება მოხდა აგრეთვე იაპონელთა „საააფლაოს უკან, ჩონკიუ-კრიკის არხის გასწვრივ. შემდეგ თითქოს სიწყნარე ჩამოვარდა, რაც 4 საათზე შეიცვალა საარტილერიო სროლით ჩრდილოეთის ვაგზლის რაიონში. ჩინეთის ჯარები ყუმბარებს უშენენ იაპონელთა ყაზარმების რაიონს — ბომბარდირება გრძელდება.

იაპონელთა შემოჭრას წინააღმდეგობას უწევს მე-88 დივიზია. მე-87 დივიზია განლაგებულია შანხაიდან პირველ სადგურზე. საომარი მოქმედების რაიონში დაფრენენ იაპონიისა და ჩინეთის თვითმფრინავები. დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ მდინარე იანძი ბლოკირებულია ჩინელების მიერ ძინძიანთან (შანხაის ჩრდილო-დასავლეთით).

საბჭოთა კავშირში

საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი კიევში

კიევი, 14 აგვისტო (საქდესი). დღეს კიევში ჩამოფრინდა საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბ-ნი მარკ რუკარი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი ცოლი და შვილი. აეროპორტზე მინისტრს შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული მოვალეობის შემსრულებელი უსს რესპუბლიკის მთავრობასთან ამხ. ნეეროვიჩი, უსს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოკალეობის შემსრულებელი ამხ. კალიცკი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და კიევის საოლქო ჯანმრთელობის განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომლები, „ინტურისტის“ და პრესის წარმომადგენელნი.

ბ-ნმა რუკარმა და ამხ. კალიცკიმ ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით.

კიევში საფრანგეთის მინისტრი გაეცნობა სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულებებს, დათვალიერებს ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ინახულებს ერთერთ საგარეუბნო კოლმეურნეობას.

189 ათასი მგზავრი

მოსკოვი, 14 აგვისტო (საქდესი). 15 აგვისტოს ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ნორმალური სამგზავრო და სატვირთო მოძრაობა გაიხსნა მოსკოვ-ვოლგის არხზე

პირველი თვის განმავლობაში ეწეოდნენ შემდეგი სამგზავრო ხაზები ექსპლოატაციას: მოსკოვის ჩრდილო ხავსადგური (ხიმკი) — კალინინი და მოსკოვის ჩრდილო ნავსადგური — კომსომოლსკაია (არხის მეოთხე რაბი).

ამ დღეებში არხზე გაიხსნა ახალი — მესამე სამგზავრო ხაზი დმიტროვ-დიდი ვოლგა.

19 აგვისტოდან გაიხსნება კიდევ ორი სამგზავრო ხაზი.

15 აგვისტოსათვის არხით გადაყვანილ იქნა 189.500 მგზავრი. 15 ივლისიდან 14 აგვისტომდე ახალ მაგისტრალზე გატარებულია 121.000 ტონა სხვადასხვა ტვირთი. ვოლგის ნაპირებიდან არხით მოსკურავენ ხეტყის მასალით დატვირთული ჯარჭაები. ხე-ტყე გაჰყავთ არა მარტო დედაქალაქში, არამედ სხვა ნავსადგურებშიაც თვით სტალინგრადამდე. ტვირთის გადაზიდვა არხით ივანკოვოდან სტალინგრადამდე მოწმობს არხის რენტაბელობას.

მოსკოვის ჩრდილო ნავსადგური ახლა გაცხოველებით ემზადება, რომ დიდძალი ბოსტნეული მიიღოს დმიტროვისა და ტალდომის რაიონებიდან: სულ არხით უნდა გადაზიდულ იქნეს 60 ათასი ტონა კარტოფილი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული. მოსკოვის ჩრდილო ნავსადგურში განტვირთის დასაჩქარებლად ახლა სდგამენ ლენტურ ტრანსპორტერებს.

○

კალინინი, 14 აგვისტო (საქდესი). ერთ თვეში ახალი წყლის გზით კალინინიდან მოსკოვში გადაზიდულია დაახლოებით 50 ათასი ტონა ქვა, ხრეში, ხე-ტყე და სხვა საშენი მასალა.

არხით ტვირთების გადაზიდვის სარგებლიანობა იზიდავს მრავალ კლიენტს.

ერთი თვის განმავლობაში ქალაქ კალინინისა და ოლქის სხვა ქალაქების დაახლოებით 7 ათასმა მცხოვრებმა მოახდინა ექსკურსია არხზე.

ახალი საარჩევნო დებულების შესწავლა

აკ. რამიშვილი
საქ. ცაკის ინსტრუქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ქალაქის საბჭომ და რაისაბჭოებმა უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულების განხილვა 14 ივლისიდან დაიწყეს. პიოველად დებულება განხილულ იქნა სადეპუტატო ჯგუფებში და სექციებზე, მერე მოხსენებები შერჩევით ჩატარდა საწარმოო დაწესებულებებში მუშამოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეები მოწყობილია ორჯონიკიძის და სტალინის სახელობის რაიონებში.

არჩევნების დებულება დამუშავდა საერთო კრებებზე საბინაო ამხანაგობათა და კომუნალური სახლების ტრესტის შეუკავშირებელ მოსახლეობაში. აქ მოწყობილია 1018 წრე.

ეს ღონისძიებანი, ცხადია, საკმარისი არ არის. საჭიროა თბილისის საბჭომ და რაისაბჭოებმა კიდევ უფრო მეტად გაშალონ მუშაობა ყველა მშრომელისათვის ახალი საარჩევნო დებულების გასაცნობად.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების განხილვა-შესწავლა დროზე დაიწყო. ყველა სასოფლო საბჭოს პლენუმებზე, კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე, საწარმოო-დაწესებულებებში და შეუკავშირებელ მოსახლეობაში ჩატარებულია მოხსენებები, შექმნილია შემსწავლელი წრეები. აქ დებულების დამუშავებასთან ერთად დეპუტატები ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის რაიონული გაზეთი საბჭოების მუშაობის მიღწევებს და ნაკლს რატომღაც არ აშუქებს. გაზეთმა ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს.

ზაღდათის რაიონში უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების განხილვა-შესწავლა დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. მთელ რიგ სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე დებულების განხილვა ჯერ არ დაუწყიათ (ზაღდათი, ფერსათი და სხვ.), ჩამოყალიბებული არ არის დებულების შემსწავლელი წრეები. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ აქ საბჭოების ორგანიზაციული მუშაობა ძლიერ სუსტია.

ამ მხრივ დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ ჩოხატაურის რაიონმასკომი და სასოფლო საბჭოები, 28 ივლისამდე მათ დავიწყებული ჰქონდათ, ან საჭიროდ არ სცნობდნენ თავიანთი ხაზით გაეცნოთ ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი მშრომელთა ფართო მასებისათვის.

ამ რაიონში საბჭოთა დემოკრატიის დარღვევა კვლავ გრძელდება. მაგალითად, 23 ივლისს ერკეთის სოფლსაბჭოს პლენუმის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანეს სერაპიონ ტულუში და მოსე სიხარულიძე. 25 ივლისს ხევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს საბჭოს არაწევრი იხიდორე მამალაძე (სასოფლო საბჭოს პლენუმი ჩაუტარებია საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის ინსტრუქტორს ამხ. ვ. კალანდაძეს).

ჩოხატაურის რაიონში ასეთი ფაქტები მრავალია. აქ საბჭოთა მეურნეობაც მოუწესრიგებელია. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რაიაღმასკომს სათავეში ზ[illegible]ლის მანძილზე ედგა ხალხის მტერი, ჯაშუში-დივერსანტი კაპიტონ კალანდაძე.

საჭიროა რაიაღმასკომის ახალმა ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები გააკეთოს აქედან და მუშაობა იძიგვარად გარდაქმნას, რომ მავნებლობის შედეგი დაჩქარებით აღმოიფხვრეს.

სიღნაღის რაიონში რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის, უკვე გამომაჯარავებულ ხალხის მტრის, დივერსანტის შ. ალავერდაშვილის მავნებლური მოქმედების შედეგად მუშაობა საბჭოების ხაზით ჩაშლილია. უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა დაწყებული არ არის. კიდევ მეტი, რაიაღმასკომის პლენუმი არ მოუწვევიათ 11 თვის განმავლობაში, მავნებლობის შედეგად რაიონში 1745 წერაკითხვის უცოდინარია.

არც ლაგოდეხის რაიონშია უკეთესი მდგომარეობა. აქ საბჭოებს არ შეუსწავლიათ სტალინური კონსტიტუცია და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება; სრულიად მოუწესრიგებელია „საბჭოების მეურნეობა“. წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის რაიაღმასკომს არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

ხსენებულ რაიონში უხეშად არღვევდნენ საბჭოთა დემოკრატიზმს. მაგალითად, ლელიანის სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარეს მჭედლიშვილს სამუშაოდან თავისი ნებით გაუნთავისუფლებია საბჭოს მდივანი ლეონ გაბრიჩიძე, მის ადგილს დაუნიშნავს საბჭოს არაწევრი მარო ტაბატაძე.

ყოველივე ესეც რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის, უკვე გამომაჯავნებულ დივერსანტისა და ჯაშუშის ი. ბეჟიშვილის მუშაობის შედეგია.

რაიაღმასკომის ახალმა ხელმძღვანელობამ ბოლშევიკურად უნდა მოჭიდოს ხელი მუშაობას, ლიკვიდაციას უყოს მავნებლობის შედეგებს და გარდაჰქმნას თავისი მუშაობა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

ტყიბულის რაიაღმასკომმა მხოლოდ 6 აგვისტოს მიიღო დადგენილება უზენაესი საბჭოს დებულების დამუშავების შესახებ, თითქმის ასევე მდგომარეობა გვაქვს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების განხილვა და შესწავლა დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

საბჭოებმა ბოლომდე უნდა გამოაშკარაონ ხალხის მტრები, ტროცკისტ-დივერსანტები და მათი კუდეები, ძირფესვიანად აღმოფხვრან მავნებლობის შედეგები, ყველა მშრომელს გაეცნონ და შეასწავლონ ახალი საარჩევნო დებულება და მტკიცედ იმუშაონ სტალინური კონსტიტუციის მიხედვით.

◇ ◇ ◇

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურზე

მოსკოვი, 14 აგვისტო (საქდესი). 14 აგვისტოს დღისით მოდრეიფე დაზამთრების ადგილის კოორდინატები იყო: განედის 87 გრადუსი და 20 წუთი და გრძედის 0 გრადუსი და 00 წუთი. ამრიგად ყინული მეზამთრეებით კვლავ გრინვიჩის მერიდიანზე იმყოფება.

13 საათზე თერმომეტრი სადგურზე უჩვენებდა ორ გრადუსს ნულს ქვეშ. ჰქროდა 1 बალიანი აღმოსავლეთის ქარი. ეშჩნეოდა მაღალი ღრუბლიანობა. ბილვადობა 1 კილომეტრია.

თელავის შტს-ის დირექტორის მოადგილე (პოლიტნაწილში) ამხ. მ. სიხარულიძე უმარტავს კომბაინერებსა და ტრაქტორისტებს დებულებას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

ფოტო ტორისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

იაპონიის ავიაცურა ჩინეთში

საომარ მოქმედებათა გამო შანხაის ცხოვრება მოდუნებულია

შანხაი, 14 აგვისტო (საქდესი). საომარი მოქმედების გამო გუშინ შანხაის ცხოვრება მოდუნებული იყო. ნაწილობრივ სროლა იაპონიისა და ჩინეთის ნაწილებს შორის გუშინ ღამით კვლავ სწარმოებდა.

6 იაპონელმა მეზღვაურმა ავტომობილიდან სროლა აუტეხა ჩინელ გუშაგებს ჩაპეის საზღვარზე (შანხაის რაიონი). დილის დაახლოებით 8 საათზე შეიარაღებულ იაპონელ რეზიდენტთა ჯგუფმა სროლა აუტეხა ჩინეთის გუშაგებს ჩრდილოეთის ვაგზლის რაიონში. 9 საათსა და 13 წუთზე იაპონელ მეზღვაურთა რაზმმა დაიწყო შეტევა ჩინელთა პოზიციებზე; ეს რაზმი ცდილობდა ჩინეთის ჯარები უკან დაეწია გზის ხაზისაკენ, დაწყებული ჩრდილოეთის ვაგზლიდან ბანბანჩანის ყაზარმებამდე. ჩინეთის მოწინავე ნაწილებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამის შედეგად იაპონელებმა დაიხიეს ხონკიუში (შანხაის რაიონი). ქუჩაში ბრძოლა ნახევარ საათს გრძელდებოდა. მოკლულია 5 იაპონელი და დაჭრილია 10 კაცზე მეტი. დაჭრა ერთი ჩინელი ჯარისკაცი და გამვლელი. შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა იაპონიის საძი ჯავშნოსანი. ორივე მხარემ აამოქმედა ტყვიამფრქვევი. დაახლოებით 12 საათზე ხონკიუს რამდენიმე ქუჩაზე იაპონელ მეზღვაურებს თოფებს ესროდნენ ჩინელი სნაიპერები ცარიელი შენობებიდან და სახლების სახურავებიდან. რამდენიმე პატარა შეტაკება მოხდა აგრეთვე იაპონელთა „საააფლაოს უკან, ჩონკიუ-კრიკის არხის გასწვრივ. შემდეგ თითქოს სიწყნარე ჩამოვარდა, რაც 4 საათზე შეიცვალა საარტილერიო სროლით ჩრდილოეთის ვაგზლის რაიონში. ჩინეთის ჯარები ყუმბარებს უშენენ იაპონელთა ყაზარმების რაიონს — ბომბარდირება გრძელდება.

იაპონელთა შემოჭრას წინააღმდეგობას უწევს მე-88 დივიზია. მე-87 დივიზია განლაგებულია შანხაიდან პირველ სადგურზე. საომარი მოქმედების რაიონში დაფრენენ იაპონიისა და ჩინეთის თვითმფრინავები. დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ მდინარე იანძი ბლოკირებულია ჩინელების მიერ ძინძიანთან (შანხაის ჩრდილო-დასავლეთით).

იაპონიის ფლოტის ბომბარდირება ჩინეთის ყუმბარმტყორცნთა მიერ

ტოკიო, 14 აგვისტო (საქდესი). მას შემდეგ, რაც იაპონიის სამხედრო გემებმა არტილერიის ძლიერი სროლა აუტეხეს მდინარე ვანპუზე ჩინეთის პოზიციებს, დღეს 9 საათზე, სწერს დომეი ცუსინის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი, ბრძოლაში პირველად ჩაებნენ ნანკინის ყუმბარმტყორცნები, რომლებმაც ყუმბარები დაუშინეს იაპონიის საზღვაო ქვეითი ჯარის მთავარ შტაბს. ამავე დროს ჩინეთის სხვა ოთხმა ყუმბარმტყორცნმა ორი ყუმბარა ჩამოაგდო იაპონიის სამხედრო გემებზე, რომლებიც მდინარე ვანპუში იყვნენ. 6 ყუმბარმტყორცნმა ყუმბარები დაუშინა იაპონიის საკომერციო სასწავლებლის ახლოს მდებარე რაიონს იანძი-როდზე, შემდეგ კი იაპონიის გენერალური საკონსულოს შენობას და მესამე ესკადრის საფლაგმანო გემს. 11 საათზე ჩინეთის ყუმბარმტყორცნებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები იაპონიის მესამე ესკადრის საფლაგმანო გემს. ბომბარდირების შედეგად, დომეი ცუსინის სააგენტოს სიტყვით, იანძიპუს კვარტალში თითქმის მთლად დანგრეულია თამბაქოს ორი ფაბრიკა, რომლის პატრონები იაპონელები არიან. გემ „ოკინავა მარუზე“, რომელიც იაპონიის კავშირგაბმულობის სამინისტროს ეკუთვნის, მოკლულია ერთი მატროსი და დაჭრილია 3. როგორც დომეი ცუსინის სააგენტო აღნიშნავს, ჩინეთის ყუმბარმტყორცნები, რომელთაც იაპონიის სამხედრო გემებმა საზენიტო ქვემეხები დაუშინეს, უვნებელნი წავიდნენ.

მდგომარეობა შანხაიში

ტოკიო, 14 აგვისტო (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს სიტყვით ქალაქ შანხაიში „აუწერელი პანიკაა“. ბანკები და მაღაზიები ბანდში დახურულია. ბანდი და ნანკინ-როდი (საერთაშორისო სეტლმენტის ცენტრალური ნაწილი) გაჭედილია ტრამვაიებით, ავტობუსებით და ავტომანქანებით, რომლებიც მიატოვეს ვატმანებმა, შოფერებმა და მგზავრებმა. საერთაშორისო სეტლმენტს მრავალ ადგილს მოშლილია ელექტროგადაცემა, დაწყვეტილია ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები.

იაპონიის შანხაელ ხელისუფალთა ცნობით, შანხაის რაიონში ამჟამად თავმოყრილია ნანკინის 40-ზე მეტი ყუმბარმტყორცნი.

იაპონიის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა

ტოკიო, 14 აგვისტო (საქდესი). გაზეთები „ასახი“ და „იომიური“ აღნიშნავენ, რომ დღეს მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომამ დაადგინა „საგრძნობლად გაადიდოს იაპონიის ჯარების რიცხვი შანხაიში“. გაზეთი „ხოკი“ სწერს, რომ იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ მიიღეს ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილების სწრაფად განხორციელებისათვის.

„ხოკის“ სიტყვით, პრემიერმა კონოემ დღეს წინადადება მისცა ყველა მინისტრს ყოველ წუთს მზად იყვნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომებში, რომლებიც შეიძლება მოწვეულ იქნას შანხაის ამბების განვითარების მიხედვით.

ნანკინის დაცვა

ლონდონი, 14 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამჟამად ჩინელთა შორის დაიწყო მოძრაობა იმის სასარგებლოდ, რათა მოაწყონ ნანკინის დაცვა მალრიდის მაგალითის მიხედვით. დამთავრდა საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია ნანკინის დაცვასთან.

ჩინეთის ჯარებმა გადასჭრეს იაპონიის წყალქვეშა კაბელი

ტოკიო, 14 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის ყუმბარმტყორცნების მიერ დაწყებული ბომბარდირების შემდეგ ჩინეთის 12 გემმა თავი მოიყარა მდინარე ვანპუს რაიონში, შანხაის სამხრეთით, ალბათ, ფარვატერის გადაღობვის მიზნით.

ამავე დროს გამოირკვა, რომ ჩინეთის ჯარებმა გადასჭრეს იაპონიის წყალქვეშა კაბელი, რაც შანხაის აკავშირებდა ნაგასაკისთან.

იაპონიის სამხედრო გემების ბლოკადა

ლონდონი, 14 აგვისტო (საქდესი). ჩინელებმა მდინარე ვანპუში ჩასძირეს დიდძალი ჯონები, რითაც შეჰქმნეს ფარვატერის ხელოვნური

ა. ვიშინსკი

ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონი

ორნახევარი წლის წინათ ამხანაგი **სტალინის** ინიციატივით დაისვა საბჭოთა კონსტიტუციაში ისეთ ცვლილებათა შეტანის საკითხი, რომლებიც შეეფერებიან სსრ კავშირში საბოლოოდ და სამუდამოდ გამარჯვებული სოციალიზმის პირობებს.

საბჭოების სრულიად - საკავშირო მე-7 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. **მოლოტოვი**, უპასუხებდა რა კითხვაზე—თუ რითია გამოწვეული ეს ცვლილებები, მიუთითებდა ორ ძირითად გარემოებაზე: ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობის რადიკალურად შეცვლაზე, „განსაკუთრებით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად საზოგადოებრივი საკუთრების პრინციპების გამარჯვების შემდეგ“, და მეორე — იმაზე რომ „დადგა დრო, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ბოლომდე გავშალოთ საბჭოთა დემოკრატიზმი და ამის შესაბამისად შევიტანოთ ცვლილებანი ჩვენს საარჩევნო სისტემაში“.

სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის დამტკიცების მომენტიდან (1924 წ.) საბჭოების VII ყრილობამდე თერთმეტმა წელმა განვლო. ეს იყო წლები გმირული, კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ბრძოლისა, რაც სსრ კავშირში სოციალიზმის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ამ წლების განმავლობაში საბჭოთა ქვეყნის მთელი სახე ისე გამოიცვალა, რომ მას ახლა ვერ იცნობ. სსრ კავშირმა განვლო სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული განვითარების უდიდესი გზა, გადაიქცა რა ჩამორჩენილი, აგრარული, ნაკლებად კულტურული ქვეყნიდან მოწინავე, კულტურულ, მდიდარ და მძლავრ ქვეყნად, რომელიც ემყარება მოწინავე ტექნიკას და რომელსაც მოეპოვება მძლავრი სოციალისტური მრეწველობა და უდიდესი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ამ წლების მანძილზე წარმოიშვნენ სოციალისტური მრეწველობის ახალი გიგანტები, ახალი, სოციალისტური ქალაქები. წარმოიშვა სოციალისტური მრეწველობა, რომელიც ემყარება „ახალ, მდიდარ თანამედროვე ტექნიკას ძლიერ განვითარებული მძიმე ინდუსტრიით და კიდევ უფრო მეტად განვითარებული მანქანათმშენებლობით“.[1])

ამ წლების მანძილზე წვრილმეწარმეობა, ინდივიდუალურმა გლეხურმა მეურნეობებმა ადგილი დაუთმეს აყვავებულ კოლმეურნეობებს, რომლებიც უფრო და უფრო სასიცოცხლო და შეძლებული ცხოვრებით ცხოვრობენ; სსრ კავშირის სოფლის მეურნეობა — „ახლა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაშინიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული ყოველ - ნაკლებ - ინტენსიური - ინტენსიური - ინტენსიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ თემაზე

პოლიტდღეები და პოლიტინფორმაციები

თბილისის ტრამვაის პარტიულმა კომიტეტმა პოლიტდღე რამდენჯერმე მოაწყო. 15 ივლისს მოწყობილმა პოლიტდღემ მუშა-მოსამსახურეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. პოლიტდღეს დაესწრო 684 კაცი. არ დარჩენილა არცერთი კითხვა, რომელზეც მუშებს ამომწურავი პასუხი არ მიეღოთ. პოლიტდღე ასე წარმატებით იმიტომ მოეწყო, რომ პარტიულმა კომიტეტმა საკმაო მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა. წინასწარ მოწყობილ იქნა აგიტატორებთან საუბრები სამეჩოებში, ბრიგადებში, კლუბში და სამკითხველოში. მოსამზადებელი მუშაობის კარგად ჩატარების შედეგად შეგროვილ იქნა 63 შეკითხვა. შეკითხვები უმთავრესად ეხებოდა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საკითხებს, შპიონაჟის, ტროცკიზმის და ყველა ჯურის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის გაცხოველებას. შემოვიდა შეკითხვები აგრეთვე საგარეო მდგომარეობაზე, ესპანეთისა და ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით.

შემოსულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცა მომხსენებელმა ამხ. ს. მამულოვმა.

ამავე ორგანიზაციაში პოლიტდღე მოეწყო 3 აგვისტოს. პოლიტდღეზე ამ შემთხვევაშიც ორგანიზებულად ჩაიარა. შეგროვილ იქნა 64 შეკითხვა. შეკითხვები უმთავრესად შეეხებოდა უზენაესი საბჭოს დებულებას. შეკითხვების შინაარსი აჩვენებდა, რომ მშრომელი მასის ნაწილი გარკვეული არ იყო დებულების ზოგიერთ საკითხში. აი რამდენიმე შეკითხვა:

„დებულების 107 მუხლი ჩემთვის არ არის გასაგები. გთხოვთ განმიმარტოთ, რას ნიშნავს იგი“.

„დებულების 53 მუხლში სწერია: „ყველა საკითხები საარჩევნო კომისიებში სწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით“. როდესაც ხმები თანაბარია, იმ შემთხვევაში როგორ მოიქცევა საარჩევნო კომისია, გთხოვთ მომცეთ განმარტება“. მრავალი კითხვა დასვეს მუშებმა. კითხვებზე პასუხის გაცემით კრება კმაყოფილი დარჩა.

ახლა ტრამვაის პარტიული კომიტეტი ამზადებს პოლიტდღეს.

პოლიტდღეებს კარგად აწყობს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტკომიც. 4 აგვისტოს ჩატარებულ პოლიტდღეს 450 კაცზე მეტი დაესწრო. წინასწარ შეგროვილ იქნა 119 შეკითხვა. შეკითხვები 10 დღით ადრე გაეგზავნა მომხსენებელს ამხ. პ. შარიას. მუშები დიდად კმაყოფილი დარჩნენ პოლიტდღის ჩატარებით და მოითხოვეს ასეთი პოლიტდღეების სისტემატურად მოწყობა.

თბილისის ყველა საწარმოს პარტორგანიზაციას როდი აქვს შეგნებული პოლიტდღეების მნიშვნელობა. მკერავის № 2 ფაბრიკაში პარტკომს ერთი პოლიტდღეც არ ჩაუტარებია. (პარტკომის მდივანი ამხ. ლუდუშაური). ამხ. ლუდუშაურს ზედმეტად მიაჩნია პოლიტდღეების მოწყობა: „მუშების მიერ დაყენებულ საკითხებს პასუხს სცემენ აგიტატორები ან პარტიული კომიტეტი.—ამბობს იგი.

ცხადია, მკერავის № 2 ფაბრიკის მუშებს ისევე აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი განმტკიცების, კაპიტალისტური გარემოცვის და სხვა საკითხები, როგორც ტრამვაის და 26 კომისრის სახ. ქარხნის მუშებს, მაგრამ პარტკომს აქედან არ გამოაქვს სათანადო დასკვნა.

ტრამვაის პარტიულ ორგანიზაციას პოლიტინფორმაციაც კარგად აქვს დაყენებული. პარტიული კომიტეტი ყოველდღე ცოცხალ ხელმძღვანელობას უწევს პოლიტინფორმატორებს, აწყობს აგიტატორებთან თათბირებს, ისმენს მათს მოხსენებას პარტკომის სხდომაზე და სისტემატურად მართავს კონსულტაციებს. აქ საუკეთესო აგიტატორები არიან: ა. ულიხანოვი, შ. მაცაბერიძე, თ. ჯაგანიშვილი, მამუკოვი, რ. ცხვედაძე და სხვ.

ასევე კარგად არის დაყენებული პოლიტინფორმაციების საქმე 26 კომისრის სახ. მანქანათმშენებლობის ქარხნის პარტორგანიზაციაში. აგიტაციის დაყენებაში მკერავის № 2 ფაბრიკის პარტკომიც კარგ მაჩვენებლებს იძლევა. ყოველდღე ტარდება ცოცხალი საუბრები და გაზეთის ხმამაღალი კითხვა. მოუხდავად ერთგვარი მიღწევისა, მკერავის № 2 ფაბრიკის პარტორგანიზაციას აგიტატორების შერჩევის საქმეში დეფექტებიც აქვს. მაგალითად: მის მიერ შერჩეული აგიტატორი ბარკო

შატვარ თაშარ ებაკელიას ილუსტრაცია „ვეფხის ტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემისათვის.

ფოტორეპროდუქცია ა. აკოფოვისა

შოთა რუსთაველის იუბილე

მზადება აზერბეიჯანში

გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესათვის გაცხოველებით ემზადებიან ჩვენს მოძმე აზერბეიჯანის რესპუბლიკაში.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) პარტიის კომიტეტის ორგანო—გაზ. „ვიშკა“ 12 აგვისტოს ნომერში შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილია მთელი გვერდი, სადაც მოთავსებულია პოეტ მ. რაჰიმის მიერ აზერბეიჯანულ ენაზე თარგმნილი „ვეფხის ტყაოსნის“ ნაწილი, ნაწილი გ. ცაგარელის მიერ რუსულად თარგმნილი „ვეფხის ტყაოსნისა“ და შოთა რუსთაველის იუბილეს ჩამტარებელი მთავრობის კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბ. ს. ეფენდიევის სტატია სათაურით „ქართული პოეზიის გენიოსი“.

— „ქართველი ხალხის დიადი შვილი შოთა რუსთაველი, — წერს ამხ. ეფენდიევი, — ყოველთვის მახლობელი და ძვირფასი იყო აზერბეიჯანელთათვის. პირიდან პირში გადაიოდა მისი სიმღერები, თარგმნილი აზერბეიჯანის ხალხურ მოძღვრალთა მიერ.

ამიტომაც რესპუბლიკაში გაჩაღებულია მზადება მოძმე ქართველი ხალხის საამაყო შვილის 750 წლის იუბილეს აღსანიშნავად. აზერბეიჯანის მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილი იუბილეს ჩამტარებელი მთავრობის კომისია საიუბილეო ზეიმისათვის დიდ მოსამზადებელ მუშაობას ეწევა.

პირველად, ამ ღირსშესანიშნავ თარიღის აღნიშვნისას, აზერბეიჯანელი ხალხი მიიღებს თავის ენაზე მისი საუკეთესო პოეტების მიერ თარგმნილ უკვდავ პოემას „ვეფხის-ტყაოსანს“, რომლის 400 სტროფი უკვე მზად არის.

იუბილესთან დაკავშირებით, დეკემბერში აზერბეიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში გაიხსნება შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

ამასთან გამოსაცემად მზადდება პოპულარული ბრიშურები რუსთაველზე. ნოხის მქსოველები ჰქსოვენ ნოხებს და მხატვრები სწერენ სურათებს რუსთაველის შემოქმედების მოტივებზე. ალი-ბაირამოვის სახელობის განთავისუფლებული აზერბეიჯანელი ქალის კლუბის ინტერნაციონალური გუნდი ამზადებს სიმღერებს „ვეფხის-ტყაოსნიდან“.

საშუალო სკოლებისა და აზერბეიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის პროგრამებში 1937-38 სასწავლო წლიდან შეტანილია რუსთაველის მხატვრული შემოქმედების შესწავლა.

მხოლოდ დიადი სტალინური ეპოქის დღეებში გახდა შესაძლებელი დიადი ქართველი პოეტის ხსოვნის ნამდვილი საერთო სახალხო აღნიშვნა და მისი უკვდავი შემკვიდრეობა მხოლოდ ამ ეპოქაში გახდა ხელმისაწვდომი ხალხთა ფართო მასებისათვის.

ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ის დიდი მუშაობა, რომელიც ახლა გაშლილია ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში გენიოს რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით.

ა. კ.

◇ ◇ ◇

ძველი წყალგამწვარები

რუსთაველის მუზეუმმა დაიწყო გათხრა თბილისის პირველი სახანძრო რაზმის შენობის უბანში (სკოლის ქუჩა), სადაც საამშენებლო მუშაობის დროს აღმოჩენილ იქნა ძველი სამარხი და აკლდამები მე-12—მე-13 საუკუნეების სამარხების ნეშტები.

გათხრის დროს ნახევარი მეტრის სიღრმეში აღმოჩენილ იქნა ძველი წყალგამტარის თიხის მილები და თიხის „სასინჯი“ დიდი ზომის ჭური, რომელიც წყალგამტართან შეერთებულია მილებით.

როგორც კომუნალური მუზეუმის დირექტორმა თბილისის სიძველეთა მკვლევარმა ნ. ა. ბადრიაშვილმა გვაცნობა, მსგავსი ტიპის წყალგამტარმილებსა და „ჭებს“ იყენებდნენ მე-19 საუკუნის დამდეგს და გაყვანილია იმ რაიონში, რომლის დასახლებაც დაიწყო ამ დროიდან. მოსახლეობის წყლით მოსამარაგებლად იგი გაყვანილ იქნა ოქროყანის წყაროებიდან და „მოსკოვის ხევიდან“ (ამჟამად მოსკოვის ქუჩა). მილები მიიმართებოდა სასახლისკენ ოქროყანის იმ წყაროებიდან, რომლებსაც წინათ იყენებდნენ სოლოლაკის ბაღების მოსარწყავად.

თიხის მილები და კოკები გადაეცა მუზეუმს. გათხრა გრძელდება (საქ. დესი).

◇

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მოვსპოთ მავნებლობის შედეგები“

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ხაშურის რაიონიდან გვწერდა: ქ. ხაშურს არ გააჩნია არცერთი კულტურულად მოწყობილი ქუჩა, ბაღი და სხვ. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეზომ მთლად მიგიწყებულიაო.

ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობათა აღმსრულებელი ამხ. ქსოვრელი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები სიმართლეს შეფერება. მიზეზი ასეთი უმსგავსოებისა იყო ის, რომ ხაშურის საქალაქო საბჭოს 1934 წლიდან ხელმძღვანელობდა ხალხის მტერი, პირწავარდნილი ტროცკისტი ლ. გოგოლაძე, რომლის მავნებლურმა მოქმედებამ მართლაც დიდი ზიანი მიაყენა ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს.

ამჟამად ქალაქის საბჭოს აპარატი განმტკიცებულია ღირსეული მუშაკებით. მიღებულია გადამწყვეტი ზომები წერილში აღნიშნული დეფექტებისა და მავნებლური მუშაობის შედეგების აღმოსაფხვრელად.

„გამყიდველი კვეჭოს“

ამ სათაურით რედაქციამ ხარაგოულის რაიონიდან მიიღო წერილი, რომლის ავტორი გვწერდა: სად. მარელისის პურის, საავჭრო წერტილის გამყიდველი კოლია მაღრაძე სისტემატურად ატყუებს მომხმარებლებს წონაში.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ხარაგოულის რაიპროკურორს ამხ. შ. ბუაჩიძეს, რომელიც გვატყობინებს: გამყიდველი კოლია მაღრაძე პასუხისგებაშია მიცემული.

„რა კაცია კიზირია“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ამხ. ეგ. გეასალიას წერილი, რომელიც ეხებოდა საქჭარხმშენის ქუთაისის კანტორის მმართველის ვარლამ კიზირიას კომბინატორობას.

წერილის ავტორი ვ. კიზირიას შრალს სდებდა იმაშიც, რომ იგი სამუშაოდან უმიზეზოდ ხსნიდა პარტიულ და საუკეთესო კომკავშირელ ამხანაგებს და მათ ნაცვლად ნიშნავდა „თავის კაცებს“.

საქ. ადგილობრივი მრეწველობის ადგილობრივ კომისარიატის სისტემაში შემავალ საქჭარხმშენის ტრესტის მმართველი გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ვ. კიზირია მოხსნილია სამუშაოდან და მისი საქმე გადაეცა პროკურატურას.

თურქმენი კოლმეურნეები „კომუნისტის“ რედაქციაში

14 აგვისტოს „კომუნისტის“ რედაქციას ეწვია თურქმენთა სს რესპუბლიკის კოლმეურნეთა დელეგაცია 9 კაცის შემადგენლობით. რედაქციის მუშაკებთან საუბარში თურქმენმა კოლმეურნეებმა განაცხადეს, რომ საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზანია გაეცნონ სუბტროპიკულ კულტურათა მეურნეობას და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს.

კოლმეურნეები საქართველოში დათვალიერებენ და შეისწავლიან საქართველოს საუკეთესო და მოწინავე კოლმეურნეობებს. მათ აგრეთვე აინტერესებთ იმის გაცნობა, თუ როგორ არის ჩვენში დაყენებული მევენახეობა და მებაღეობა. აქ მიღებულ გამოცდილებას ისინი გამოიყენებენ თავიანთ კოლმეურნეობებში.

დელეგაციაში შედიან თურქმენეთის მოწინავე კოლმეურნეები. დელეგაციის ერთერთმა წევრმა, კოლმეურნემ ბერდი ყურბანოვმა რედაქციის მუშაკებს უამბო, თუ როგორ მუშაობს კოლმეურნეობაში და რა ბედნიერად ცხოვრობს მისი ოჯახი. ბერდი ყურბანოვმა გასულ წელს შრომადღეზე მიიღო 16 მანეთი ფულად, 2 კილო ხორბალი, 1 კილო ქერი, 2 კილო ქიშმიში და სხვ. ასეთი და უფრო უკეთესი მაჩვენებლები აქვთ სხვა კოლმეურნეებსაც (სარი ალავერდი, გელდი ბენჯი და სხვ.).

დელეგაციაში შედიან კ. ეორობიოვი (ხელმძღვანელი), სარი ალავერდი (აშხაბადის რაიონი, კოლმეურნეობა „სოციალიზმი“), ბერდი ყურბანოვი (გეოგტეპის რაიონი, ლ. კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობა), შუხამედ ხუჯაკული (კარკინის რაიონი, ეკოვის სახ. კოლმეურნეობა), მეკლან გეგლინოვი (აშხაბადის რაიონი), გელდი ბენჯი (კარკას რაიონი, კოლმეურნეობა „მალდარ“), ნაზარ დურდი-ბურდი (გეოგტეპის რაიონი, ანდრეევის სახ. კოლმეურნეობა), იშან ფოტა (აშხაბადის რაიონი, კოლმეურნეობა „სოციალიზმი“).

თურქმენი კოლმეურნეები თბილისში დათვალიერებენ ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას (ორთაჭალაში) და სხვა საინტერესო ადგილებს.

თურქმენთა სს რესპუბლიკის სტაბახოველ და დამკვრელ კოლმეურნეთა დელეგაციის ერთი ჯგუფი „კომუნისტის“ რედაქციაში.

ფოტო რ. აკოფოვისა

კონკურსი ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის პროექტზე

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნებათა საქმის სამმართველო აწყობს დახურულ კონკურსს კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის პროექტზე. ძეგლი უნდა დაიდგას კომპოზიტორის საფლავზე, სახ. ოპერის ბაღში.

ძეგლი უნდა წარმოადგენდეს კომპოზიტორის ფიგურას კვარცხლბეკზე, და გაფორმებული უნდა იყოს ზ. ფალიაშვილის შემოქმედების მოტივების კომპოზიციით.

ძეგლის მაკეტი უნდა წარმოდგენილ იქნეს ნატურალური ზომის 1.5 (ერთი მეხუთედის) სიდიდისა. პროექტების წარმოდგენის ვადა—1937 წ. 1 ნოემბერი.

გამოყოფილია კონკურსის ჟიური შემდეგი შემადგენლობით. ა. დუდუჩავა (თავმჯდომარე), ვ. ბოკუჩავა, მ. ჭიაურელი, პროფ. გრინევსკი, პროფ. შარლემანი, პროფ. შ. ამირანაშვილი და ე. მიქელაძე.

ჟიურის მიერ დაადგინოს პრემიათა ოდენობა და რიცხვი. (საქ. დესი).

◇

გულის ოპერაცია

12 აგვისტოს ღამით ქალაქის I საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მიიყვანეს ავადმყოფი ნ ზარაფოვი (ლაზარევის ქ. № 62.), რომელსაც დანით მიყენებული ჰქონდა ჭრილობა გულმკერდის მარცხენა არეში. ოპერაცია გააკეთა გამოცდილმა დოსტალქარმა დოც. მ. გ. გოგოლევმა. მან აქაც გვიჩვენა თავისი კარგი ტექნიკა და დახელოვნება.

ოპერაციის დროს გამოირკვა, რომ დაზიანებული იყო გულის პეიანგი და მარცხენა პარკუჭი, საიდანაც შადრევანივით მოსჩქეფდა სისხლი. ოპერაციის გაკეთების შემდეგ გულის კუნთებს სასწრაფოდ დაედვა კვანძები. გულმა ჩვეულებრივი მუშაობა დაიწყო. თითქმის მკვდარ ადამიანს სიცოცხლე დაუბრუნდა. ოპერაცია დამთავრდა 25 წუთში. ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. (საქ. დესი).

◇

„მარქსიზმის კლასიკოსები“

დიადი პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საცნობო-საბიბლიოგრაფიო განყოფილება გამოსაცემად ამზადებს ბიბლიოგრაფიულ სანიმუშოს „მარქსიზმის კლასიკოსები“.

წიგნში მოცემული იქნება კარლ მარქსის, ფრ. ენგელსის, ვ. ლენინის და ი. სტალინის ქართულ ენაზე არსებულ ნაწარმოებთა სრული აღწერილობა.

ბიბლიოგრაფია მზად იქნება და დასაბეჭდად გადაეცემა წარმოებას 15 სექტემბრისათვის.

წიგნი ბაზარზე გამოვა ოქტომბრის დღეებისათვის.

◇

ხაშურის ავტომაგური საგელეფონო სადგური

მომქმედ საწარმოთა მწყობრში შევიდა ხაშურის ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური 70 ნომრით. უკვე ჩართულია და ნორმალურად მუშაობს 58 ნომერი, დანარჩენ ნომრებს ჩართავენ უახლოეს დროში.

ხაშურის ავტომატური სატელეფონო სადგურის სიმძლავრე შეიძლება აყვანილ იქნეს 100 ნომრამდე.

◇

ახალი წიგნები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოუშვა შემდეგი ბროშურები:

ლ. ბ. ბერია—„ლადო კეცხოველი“, ფასი 45 კაპ.

ვ. კოლესნიკი—ჯაშუშური ინტერნაციონალი, ფასი 40 კაპ.

დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ, ფასი 35 კაპ.

თბილისის რაიონის აგრონომი ნინა ჭურიძე შომსახურებას უწევს 18 საგარეუბნო სოფლის საბჭოს მეხილეობისა და მებოსტნეობის დარგში. მისი ხელმძღვანელობით 45 ჰექტარი ხეხილის ბაღი გაშენდა ფ. მაბარაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

სურათზე: აგრონომი ნინა ჭურიძე

ღაშქრობა მყინვარზე

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის საქართველოს ალპიური კლუბისა და ყაზბეგის რაიონული ორგანიზაციების ინიციატივით აგვისტოს დამლევისათვის ეწყობა მოხევეთა ლაშქრობა მყინვარწვერზე.

ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობს 300 მოხევე.

ამ ღონისძიების მიზანია მოამზადოს მოხევეთაგან 300 პირველი საფეხურის ალპინისტის ნაშნოსანი.

ფიზკულტურის კომიტეტის მიერ გამოყოფილია ლაშქრობის ხელმძღვანელი შტაბი საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის მდივნის თავმჯდომარეობით.

◇

სუსტად ემზადებიან სასწავლო წლისათვის

სოხუმი, 14 აგვისტო (საქდესი). აღზაფხულო არადგება მიწურულშია, მალე დაიწყება სასწავლო წელი. აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატი და განათლების რაიონული განყოფილებანი იჩენენ უზრუნველობას სასწავლო წლისათვის სასკოლო შენობათა მომზადებაში. გუდაუთის, გაგრის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებში არ დამთავრებულა ათობით სკოლების რემონტი. ფანჯრებს შუშა არა აქვს, არ მოეპოვებათ ინვენტარი. არა აქვთ შუშა კლასების გასათბობად. ამაში ცოტა დანაშაული როდი მიუძღვით რაიონულ ორგანიზაციებს—რაიაღმასკომებს, კომკავშირის რაიკომებს, რომლებიც სასწავლო წლისათვის მზადებას ხელმძღვანელობენ ქაღალდზე, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ცირკულარებით.

ᲐᲦᲞᲘᲜᲘᲐᲦᲐ ᲗᲔᲗᲜᲣᲚᲓᲖᲔ

პირველი ჯგუფი მწვერვალზე

გუშინ ზემო-სვანეთის რაიკომის ძალისგან ამხ. წიფურიასგან დეპეშით მიღებულ იქნა შემდეგი ცნობა:

12 აგვისტოს ალპინიზმის ოსტატის გვალიას ხელმძღვანელობით ჯგუფი ათი კაცის შემადგენლობით (აქედან 8 სვანი) ავედით თეთნულდის მწვერვალზე—სიმაღლე 4853 მეტრი. ჯგუფში შევდიოდნენ: ბ. გ. გვალია, კ. ნეგულიანი, გ. ზურგიანი, ვ. ხერგიანი, ჩ. ხერგიანი, ძ. ჩარტოლანი, რ. რატიხი, პ. აზალიანი და ზურგიანი. ასეთი რაოდენობით თოვლიან თეთხულდზე ასვლა ჯერ არ ახოვს ალპინიზმის ისტორიას. თეთნულდზე ასასვლელი ტრასა სვანების ალპინიადასთვის შესწავლილია ჯგუფების მიხედვით. ალპინიადის მონაწილენი უზრუნველყოფილი არიან ინსტრუქტორებით, მოწყობილობით, სურსათით, ალპინიადის პირველი ჯგუფები მწვერვალზე იერიშს მიიტანენ 19 აგვისტოს.

○

მესტია, 15 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტ. და სპორტის კომიტეტი და საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომი უკვე მეორე თვეა ემზადებიან მასობრივი ალპინიადის მოსაწყობად თეთნულდზე, რომლის სიმაღლეა 4853 მეტრი. ალპინიადის მოწყობას გამოეხმაურა 200-ზე მეტი სვანი. ლაშქრობის მონაწილენი გაიყოფიან სამ ჯგუფად. პირველად მიდიან ზემო-სვანეთის ქვემო მხარის სოფლების — ხაიშის, ჩვიბერის, ჩუბეხევის, თავრალის, ლახამულის, ჩხუმარის და ბეჩრის მცხოვრებნი. შემდეგ მიდიან შუა მხარის—ლატალის, ლენგერის, მესტიის, მულახის მცხოვრებნი, ხოლო ზემო მხარიდან ბოლოს გავლენ.

ალპინიადის მთავარი ბანაკი მოეწყობა თეთნულდის კალთაზე — ტვიბმაშარზე, რომლის სიმაღლე უდრის 3050 მეტრს. მეორე ბანაკი გაიშლება ყინვარ ნაღების სათავეში, 3600 მეტრის სიმაღლეზე, და აქედან დაიწყება ასვლა თეთნულდზე. ალპინიადის მონაწილენი უზრუნველყოფილი იქნებიან სპეციალური ალპინისტური მოკაზმულობით. ალპინიადის უკეთ ჩატარებისათვის 12 აგვისტოს სვანი ინსტრუქტორების მონაწილეობით მოეწყო წინასწარი დასაზვერი ასვლა თეთნულდზე. ინსტრუქტორთა დასაზვერ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო ათმა კაცმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ოსტატი სანდრო გვალია და ზემო-სვანეთის პარტიის რაიკომის მდივანი ალიოშა წიფურია. დამზვერთა ჯგუფში შედიოდნენ გამოკდილი მთამსვლელი სვანები. თეთნულდზე ასვლის გეზი გასულ წლებთან შედარებით რთული აღმოჩნდა, რადგან თოვლიან მთას შეუცვლია პროფილი. ამსვლელებს მოუხდათ საფეხურების ჭრა 650 მეტრის სიმაღლე ციცაბო თოვლყინულოვანი ფერდობების ასაღებად.

ჯგუფი უკან მშვიდობიანად დაბრუნდა გადაწყვეტა თეთნულდზე ასვლა მოხდეს ცალ-ცალკე ჯგუფებად ათ-ათი კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იქნება ორ-ორი გამოცდილი მთამსვლელი სვანი.

ოთარ ეზაძე

კრიზიკოსთა სექციაში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კრიტიკოსთა სექცია ამზადებს კრიტიკულ სტატიათა კრებულს. ამ სტატიებში გაშუქებული იქნება ქართული ლიტერატურის მდგომარეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლებში.

ამ დღეებში მოწყობილ იქნა დისკუსია ბ. ელენტის მოხსენების გამო ქართული ეპოსის შესახებ. შ. რადიანი წაიკითხავს მოხსენებას „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის აღნაგობის პრინციპების შესახებ“.

სექციამ გამოჰყო ბრიგადა ქართული საბჭოთა პრესის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის მდგომარეობის შესასწავლად.

წაკითხული იქნება აგრეთვე მოხსენებანი გაზეთი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციისა და გაზეთის კრიტიკისა და ლიტერატურის თეორიის განყოფილების მუშაობის შესახებ, პროფ. ს. დანელიასი,— „კ. მარქსის ესთეტიკა“, პროფ. გ. ფ. წერეთლის ბერძნული ლიტერატურის შესახებ და სხვ. (საქდესი).

◇

სამეცნიერო ექსპედიციები

აკად. ნ. ა. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი წელს ქართველური ენის განყოფილების ხაზით მოაწყობს მთელ რიგ სამეცნიერო ექსპედიციებს.

პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით ექსპედიცია კასპისა და გორის რაიონებში შეაგროვებს ლექსიკოლოგიურ მასალას ქართული ენის ქართლური დიალექტის შესასწავლად. ანალოგიური მუშაობა ხევსურულ კილოკავზე ჩატარდება ყაზბეგის რაიონში, სვანურისაზე—ზემო სვანეთში და მეგრულისაზე—მთიან სამეგრელოში (საქდესი).

◇

სასკოლო მშენებლობა

განსაზღვრის ცნობით, საქ. ქალაქებში სასკოლო მშენებლობა 10 აგვისტოსათვის ასეთ მდგომარეობაშია: ბათუმის სკოლის შენობა მზად იყო 80 პროცენტით, კალენდარული გეგმით მზად უნდა ყოფილიყო 95 პროცენტით. სოხუმის სკოლის შენობა მზად იყო 33 პროცენტად, მზად უნდა ყოფილიყო 96 პროცენტით. გალის — მზად იყო 56-ით, მზად უნდა ყოფილიყო 95-ით, სტალინარის — 50-ით, უნდა ყოფილიყო 95-ით, ჭუთაისის — 63-ით, უნდა ყოფილიყო 95-ით, გორის — 82-ით, უნდა ყოფილიყო — 96-ით, ფოთის — 82-ით, უნდა ყოფილიყო — 96-ით.

თბილისის სკოლებიდან: შაუმიანის ქ. სკოლის შენობა მზად იყო 86.7 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 96 პროცენტით, ცხრა ძმის ქ. სკოლის შენობა მზად იყო 76,8-ით, უნდა ყოფილიყო — 95-ით, ჭავჭავაძის ქ. — 77-ით, უნდა ყოფილიყო — 96-ით. პლეხანოვის პრ. — 56-ით, უნდა ყოფილიყო 95-ით. მიასნიკოვის ქ. — 81-ით, უნდა ყოფილიყო 96 პროცენტით.

მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, სასკოლო შენებლობა კვლავ სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი. სოხუმის სკოლის შენობის მზადყოფნის პროცენტი 30 იგლისთან შედარებით 1,4-ით არის მომატებული. სტალინარისა — 3-ით, თბილისის მიასნიკოვის ქ. — 4 პროცენტით.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ამხ. გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე დაამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ.

◇

გეოლოგიური კონგრესის ნევრები ბაქოში

ბაქო, 14 აგვისტო (საქდესი). მე-17 საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის წევრები მეხუთე დღეა დეტალურად ეცნობიან აზერბეიჯანის ნავთის საბადოებს. რესპუბლიკის ნავთის გიგანტური სიმდიდრე, საბჭოთა ახალი სარეწაოები, მუშათა დაბების კეთილმოწყობა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენ უცხოელ სტუმრებზე.

ბინაგადში (კიროვნეფტი) გეოლოგები განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდნენ აშვიათ გეოლოგიურ მოვლენას — ნავთის ფენების გამოსვლას მიწის ზედაპირზე.

13 აგვისტოს სტუმრებმა იხილეს განსაკუთრებული სანახაობა — ტალახის გრანდიოზული ვულკანის ლოკ-ბატანის მოქმედება.

◇

ახალი ამბები

○ საქპურტრესტმა ჭაათურაში მოაწყო საკანდიტრო სახელოსნო, რომელშაც მომსახურება უნდა გაუწიოს ჭიათურის მაღაროელებს. საკანდიტრო ათნაირ ბულკს გამოუშვებს.

○ პურისცხობის საქართველოს ტრესტმა გამოუშვა გასაყიდად ქართული ცალობით პური, 1/2 კილოგრამის წონისა, თითო პური მანეთი ღირს.

○ თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებმა ახალი სასწავლო წლისათვის დამზადეს 9.500 ათასი რვეული, 2 მილიონ ცალზე მეტი ფანქარი, 21 ათასი კოლოფი კალამი, 1760 კალგრამი რეზინი და სხვ.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტური შეტევის გამოსათვის. ქართულ და რუსულ ენებზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკ-ის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ესპანეთის გმირული ახალგაზრდობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართულ და რუსულ ენებზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

— კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი ატყობინება, რომ 16 აგვისტოს, საღამის 8 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პროპაგანდისტებისათვის შესრულდება ამხ. ფილატოვის მოხსენება რუსულად თემაზე: „ცარიცანის დაცვა“.

საქ. კ. პ. (ბ) აღბულაღის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1522743, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) აღბულაღის რაიკომის მიერ ალექსანდრე ეგნატეს-ძე კამშინის სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ჩაითვალოს.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომი აცხადებს: პარტბილეთი № 1526783, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მიერ 1936 წლის 7 ივლისს მაკრინე ხახუს ასულ მეგობრის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

სარედაქციო კოლეგია.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6 40, 8 40, 10 40	ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი ქართულ ენაზე **ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔ** რეჟისორი — დ. რონდელი ოპერატორი — ბ. ბუხრავლიოვი
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30. 10-30	საქ. სახკინმრეწვის ნაწარმოები.
26 კომ. სახ. სახაფს. 9 საზამთ. 6-30	
გაზთიადი 7. 9, 11	
დამკვრელი სახაფს. 6, 9, 11 საზაათ. 6 30, 8 30. 10-30	ახალი ხმოვანი ხმატვრ. ფილმი **ᲤᲘᲪ/Ი**
კომკავშირელი სახაფ. შენ. 9. სახ. მთ შენ. 6-30	სახაფს. შეხობაში ხმოვ. ფილმი **ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲘᲗᲘ** ქართულ ენაზე სახამთ. შენ. ხმოვანი ფილმი **ᲮᲜᲐᲠᲘ**
არსენა 7. 8-40, 10 20	ახალი ხმოვანი ფილმი **ᲩᲐᲪᲐᲕᲘ**
კომინტერნი 9, 11	ხმოვანი ფილმი **ᲙᲐᲠᲚ ᲒᲠᲘᲜᲔᲠᲘ**
ახალი ამბები	დიკენსის მახლობლად, არტიკის ზევით, კინო ყვერნალი № 33.

საქ. „სარეწაო კავშირის“ სისტემის არტელ „რემონტაუშვილის“ დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	23.274
2	ნედლეული და მასალები	22.516
3	წარმოება და გადამუშავება	2.535
4	ფულადი საშუალებანი	9.252
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	4.543
6	განყენებული საშუალებანი	17.350
	ბალანსი...	79.470

პასივი

№ № რიგ.	ანგარიშების დასახელება	ჯამი
1	ფონდები	35.197
2	გრძელვადიანი კრედიტები	10.015
3	ანგარიშსწორებანი	19.477
4	დაგროვება	14.181
	ბალანსი...	79.470

1936 წლის საოპერაციო წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	1.577	1. შემოსავალი რეალიზაციიდან 9.893
2.	დაგროვებანი საანგარიშო წლის	14.181	2. „ სხვადასხვა 5.550
	ბალანსი...	15.758	ბალანსი... 15.758

დამტკიცებულია სარეწაო კავშირის სახალხო კომისიის მიერ 1937 წლის 27 იანვარს

გამგეობის თავმჯდომარე საკოვი. მთ. ბუხალტერი თუთბერიძე. 1630

მისაჯართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პრ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პრ. № 34, ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—23—4, მწერალთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორისა — 3—27—04, ხელნაწერები აუტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

სტამბის ფასი 3—2288